88 წელი თქვენთან ერთად!

88 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • №17 (7046) 7 სექტემბერი 2021 წელი • www. Terjola. gov. ge

თერჯოლის განვითარებისათვის...

სლოგანით—„რეგიონის განვითარებისათვის“ ჩატარდა „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის ის ნაწილი, რომელიც მმართველი პარტიის მიერ იმერეთის რეგიონში მუნიციპალიტეტების მერობის კანდიდატების წარდგენას ითვალისწინებდა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატის წარდგენა სოფელ ზედა სიმონეთში, დავით და სერგო კლდიაშვილების სახლ-მუზეუმში გაიმართა.

კოვიდრეგულაციების დაცვით მოწყობილ შეკრებაზე მისულ საზოგადოებას, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, ვრცელი სიტყვით გამოსვლის შემდეგ, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერობის კარდიდატად, მუნიციპალიტეტის მოქმედი მერი, ლაშა გოგიაშვილი წარადგინა.

წარდგენაზე, კანდიდატის მხარდაჭერის სიტყვები წარმოთქვეს პარლამენტის თავმჯდომარემ კახა კუჭავამ, სახელმწიფო რწმუნებულმა იმერეთში ზვიად შალამბერიძემ, საქართველოს პარლამენტში ზესტაფონი-თერჯოლა-ტყიბული-ბაღდათის მაჟორიტარმა დეპუტატმა ბეჟან წაქაძემ.

შეკრებაზე სამადლობელი სიტყვით გამოვიდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატი ლაშა გოგიაშვილი. ამავე დღეს, პრემიერ-მინისტრმა და მოწვეულმა სტუმრებმა ინტერესით დაათვალიერეს დავით და სერგო კლდიაშვილების სახლ-მუზეუმი.

დაწვრილებით უფასო პოლიტიკური რეკლამის გვერდზე. იხ. გვ. 5.

კვლავ ონლაინ რეჟიმში...

ახალი სასწავლო წელი 15 სექტემბერს დაიწყება

უკვე მეორე წელია ჩვენი საჯარო სკოლები, მოსწავლე-მასწავლებლები, აღმზრდელები თუ მშობლები ახალ სასწავლო წელს ონლაინ რეჟიმში ხვდებიან...

სწავლა ამ ფორმით 15 სექტემბერს განახლდება.

როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აანონსებს სწავლა საკლასო ოთახებსა და აუდიტორიებში 4 ოქტომბრიდან გადაინაცვლებს იმ შემთხვევაში თუ ეპიდსიტუაცია ამის შესაძლებლობას შექმნის.

ჩვენ კი, ჩვენის მხრივ, ამ მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით „გაზეთის“ ტრადიციას არ ვღალატობთ და ყველას გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას, ღმერთმა ინებოს, რომ კოვიდპანდემიას უკან დაეხიოს და კვლავ ძველებურად ახმიანებულიყოს ჩვენი სასწავლო დაწესებულებები!

„თერჯოლა“

ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მუშაობა აქტიურ ფაზაშია...

იმ ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის, რომლებიც მიმდინარე წელს დაიწყო თერჯოლის მუნიციპალიტეტში და იმ პროექტებზე, რომლებიც გარდამავალი იყო ან გარდამავალია სამომავლოდ, გასული ზაფხულის ბოლო თვე და შემოდგომის ეს თვეები შეიძლება ითქვას, რომ მეტად მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენენ.

☞4

გამარტივებული ვაქცინაცია

☞3

2 ოქტომბერს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია!

☞2

„აი ფაქტი“ და „თერჯოლის ხმა“ „თერჯოლას“ შესახებ ანუ

პასუხი კითხვაზე—არის გაზეთი „თერჯოლა“ თერჯოლის ხმა?...

☞6

2 ოქტომბერს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია!

ნაზი სირაძე: „№49 თერჯოლის საოლქო-საარჩევნო კომისია მაქსიმუმს აკეთებს 2 ოქტომბრის არჩევნების სამართლიანად, დემოკრატიულად და გამჭვირვალობის გარემოში ჩასატარებლად“.

ეს განცხადება ჩვენთან საუბარში თერჯოლის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა ნაზი სირაძემ გააკეთა. იგი დაწვრილებით გვესაუბრა ამომრჩეველთათვის საინტერესო ბევრ საკითხზე. მან ყურადღება განსაკუთრებით გაამახვილა საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებაზე, მათ მომზადება-გადამზადებასა და საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე.

გთავაზობთ ამ საუბრის ჩანაწერს.

უპირველესად იმის თაობაზე, რომ თვითმმართველობის მორიგი არჩევნების ორგანიზებულად ჩატარებისათვის N49 თერჯოლის საოლქო-საარჩევნო კომისიაში, 2021 წლის 9 აგვისტოდან 12 აგვისტოს ჩათვლით, საარჩევნო ოლქში შემავალი უბნების დაკომპლექტების მიზნით, მიმდინარეობდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსი. კონკურსანტებს შეეძლოთ დოკუმენტაცია წარმოედგინათ მატერიალური სახით— საოლქო-საარჩევნო კომისიაში ან ელექტრონული სახით— კომისიის ელექტრონულ მისამართზე. 33 საუბნო საარჩევნო კომისიაში გამოცხადებულ ვაკანტურ თანამდებობებზე, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, სულ შემოვიდა 282 განაცხადი. კონკურსანტთა დოკუმენტაციის შემოწმების შედეგად, კანონით დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების დადგენის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისათვის N49 თერჯოლის საარჩევნო ოლქში შემავალი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების შესარჩევ კონკურსში მონაწილეთა რაოდენობამ შეადგინა 271. სულ აირჩა საუბნო საარჩევნო კომისიის 264 წევრი.

პოლიტიკურ პარტიებს საუბნო საარჩევნო კომისიებში კომისიის წევრთა დანიშვნა შეეძლოთ 18 აგვისტოდან 23 აგვისტოს ჩათვლით, შესაბამისად, სრულად დაკომპლექტებულია 33 უბანი 561 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრით.

მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული კონცეფციის შესაბამისად, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები ინტენსიური პროფილური სწავლების ფორმატში დეტალურად მიიღებენ ინფორმაციას კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს საარჩევნო კომიისის მიერ განსახორციელებელ საქმიანობებზე, რაც მიზნად ისახავს საარჩევნო კომისიის მუშაობის ეფექტიანობის ზრდას, პანდემიის პირობებში უსაფრთხო საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფას, ჩართული მხარეებისა და ამომრჩევლებისთვის შესაბამისი სერვისის გაუჯობესებას, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის ხელშეწყობას.

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგები ექვს ეტაპად ჩატარდება. I ეტაპის ტრენინგები დაეთმობა საუბნო საარჩევნო კომისიების სრული შემადგენლობის სწავლებას. მონაწილეები მიიღებენ ინფორმაციას მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ შემდეგ ძირითად საკითხებზე:

— დემოკრატიული არჩევნების ჩატარების ძირითადი პრინციპები და მათ უზრუნველსაყოფად საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა როლის მნიშვნელობა, მანდატი ეთიკური და სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში;

— საუბნო საარჩევნო კომისიის სამუშაო რეჟიმი და რეგლამენტით განსაზღვრული უფლებამოსილებები; დისციპლინური პასუხისმგებლობის და კისრების საფუძვლები;

— საოლქო საარჩევნო კომისიებთან საუბნო საარჩევნო კომისიების კოორდინაცია / კომუნიკაცია (მათ შორის, საორგანიზაციო-ლოჯისტიკურ საკითხებზე: საარჩევნო დოკუმენტაციის და ინვენტარის გადაცემა — საუბნო საარჩევნო კომისიისთვის; კენჭისყრის შენობის მოწყობა);

— საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღემდე პერიოდში (მათ შორის, საკანონმდებლო სიახლე - ადაპტირებული საარჩევნო უბნის სპეციალურ სიაში ამომრჩეველთა შეყვანის საკითხი);

— ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში სანიტარულ - ჰიგიენური მოთხოვნების დაცვის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი ღონისძიებები.

სასწავლო პროცესი პანდემიასთან დაკავშირებული ყველა რეკომენდაციის დაცვით წარიმართება. საქართველოს ჯანდაცვის უწყებასთან თანამშრომლობის ფარგლებში, ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების მიზნით, ტრენინგების ჩატარების ადგილებზე მონაწილეებისთვის უზრუნველყოფილი იქნება სწრაფი ტესტის ჩატარება. ტრენინგზე დაშვება განხორციელდება ტესტირების უარყოფითი შედეგის საფუძველზე.

თერჯოლის საარჩევნო ოლქში ორ ლოკაციაზე თერჯოლის საოლქო-საარჩევნო კომისიის სხდომათა დარბაზში და ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ჩატარდა I ეტაპის ტრენინგები 25 აგვისტოდან 30 აგვისტოს ჩათვლით.

N49-ე თერჯოლის საოლქო-საარჩევნო კომისიის წევრებმა ტექ. თანამშრომლებთან ერთად მიმდინარე წლის 20-21 აგვისტოს საინფორმაციო კამპანიის - „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ გამართეს შეხვედრა ფარგლებში, ქალაქ თერჯოლისა და სოფელ ჩხარის მოსახლეობასთან. მათ მოქალაქეებს მიაწოდეს ინფორმაცია 2021 წლის 2 ოქტომბერს გასამართ მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებთან დაკავშირებით.

საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, თერჯოლის საარჩევნო ოლქში შექმნილია 10 ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 30 წევრისგან - 10 მაჟორიტარული წესით და 20 პროპორციული წესით არჩეული საკრებულოს წევრებისგან.

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა მრავლდება საარჩევნო ოლქში პროპორციული წესით გასანაწილებელი მანდატების რაოდენობაზე და იყოფა იმ პარტიების მიერ მიღებული ხმების რაოდენობათა ჯამზე, რომლებმაც მიიღეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 3 პროცენტისა. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი არის პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა. არჩევნებში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა.

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოს წევრად არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 40 პროცენტზე მეტს.

თვითმმართველი თემის - თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქები და საარჩევნო უბნები

№	ადმინისტრაციული ერთეული	მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალი სოფლები	მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალი უბნების დასახელება	უბნების რაოდენობა	მანდატების რაოდენობა
49.01	თერჯოლა	ქალაქი თერჯოლა	#1, #2 საარჩევნო უბანი #3, #26 საარჩევნო უბანი	4	1
49.02	გოდოგანი	ბროლიქედი, გოდოგანი, ნაგარევი, ჭალასთავი	#9 გოდოგნის საარჩევნო უბანი #10 ნაგარევის საარჩევნო უბანი	2	1
49.03	კვახჭირი ჭოგნარი	კვახჭირი, ოდილაური, სარბევი ჭოგნარი	#17 კვახჭირის საარჩევნო უბანი #33 კვახჭირის საარჩევნო უბანი #25 ჭოგნარის საარჩევნო უბანი	3	1
49.04	ზედა სიმონეთი ნახშირღელე ქვედა სიმონეთი	ზედა სიმონეთი, ნავენახევი, ნახშირღელე, ქვედა სიმონეთი	#14 ზედა სიმონეთის საარჩევნო უბანი #18 ნახშირღელის საარჩევნო უბანი #21 ქვედა სიმონეთის საარჩევნო უბანი #31 ქვედა სიმონეთის საარჩევნო უბანი	4	1
49.05	ბარდუბანი ეწერი	ბარდუბანი, სათემო ეწერი, ახალუბანი	#7 ბარდუბნის საარჩევნო უბანი #30 ბარდუბნის საარჩევნო უბანი #11 ეწრის საარჩევნო უბანი	3	1
49.06	ახალი თერჯოლა სიქთარვა	ახალთერჯოლა, ბოსელა სიქთარვა, ჩხარი-ეწერი	#6 ახალთერჯოლის საარჩევნო უბანი #20 სიქთარვის საარჩევნო უბანი #28 სიქთარვის საარჩევნო უბანი	3	1
49.07	რუფოთი ღვანკითი	რუფოთი, ტელეფა, ღვანკითი	#19 რუფოთის საარჩევნო უბანი #27 ტელეფის საარჩევნო უბანი #22 ღვანკითის საარჩევნო უბანი #32 ღვანკითის საარჩევნო უბანი	4	1
49.08	ალისუბანი	ზარნაძეები, ზედა ალისუბანი, თხილთაწყარო, მაჩიტაური, ქვედა ალისუბანი	#4 ზედა ალისუბნის საარჩევნო უბანი #5 ქვედა ალისუბნის საარჩევნო უბანი	2	1
49.09	ზედა საზანო თუზი	დელტასუბანი, ზედა საზანო, მუჯირეთი, სკანდე, შიმშილაქედი, ჩიხორი, ვარდიგორა, თავასა, თუზი, კაკაბოური ჯგილათი	#12 ჩიხორის საარჩევნო უბანი #13 26 მაისის საარჩევნო უბანი #29 ზედა საზანოს საარჩევნო უბანი #15 თუზის საარჩევნო უბანი #16 ვარდიგორის საარჩევნო უბანი	5	1
49.10	გოგნი ჩხარი ძევრი	გოგნი, ჩხარი, ჩხარი-მაცხოვარი, ოქონა, სეფარეთი, ძევრი	#8 გოგნის საარჩევნო უბანი #23 ჩხარის საარჩევნო უბანი #24 ძევრის საარჩევნო უბანი	3	1
				33	**10**

სიფრთხილე, ათასჯერ სიფრთხილე!

აგერ, წელიწადნახევარია მსოფლიო და შესაბამისად ჩვენი ქვეყანა, საერთო უხილავ მტერს, კორონავირუსს ებრძვის. სამწუხაროდ, მართალი გამოდგა ვარაუდი, რომ პანდემია მოკლე დროში ვერ აღიკვეთებოდა და მასთან თანაცხოვრება მოგვიწევდა.

დრო გადის, პანდემია ბობოქრობს, იგი ულმობლად ავლებს მუსრს ადამიანებს.

მსოფლიოში კორონავირუსით ინფიცირებულთა რაოდენობამ 218 მილიონს გადააჭარბა, პანდემიას 4,37 მილიონი ადამიანი ემსხვერპლა. საქართველოში ინფიცირებულთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება. ციფრები მკვეთრად საგანგაშოა...

ისმენ ამ სულისშემძვრელ ცნობებს ტელევიზიით და აღარ იცი რა ქნა, რა გზას დაადგე, როცა არ იცი გარანტირებულად რა დაგიცავს.

ჯერჯერობით კი კატეგორიული უნდა ვიყოთ იმაში, რომ განუხრელად დავიცვათ ჯანდაცვის სფეროდან მოცემული რეგულაციები, გავიტესტოთ პერიოდულად და ჩავიტაროთ აცრები. ეს ისეთი აქლემია, რომელიც ღმერთმა დაგვიფაროს და, რაღაც ფორმით ყველას ჭიშკართან დაიჩოქებს. აგერ, სამეზობლოში, შესანიშნავი პიროვნება გამოგვაცალა ხელიდან პანდემიამ. დაინფიცირებულთა რიცხვი კი თანდათან მატულობს ოჯახებში, მათ შორის პატარებში, როგორც ჩანს ასეა სხვაგანაც. მე ვისი რა მსაჯული ვარ, მაგრამ სიმართლე გითხრათ მაკვირვებს ზოგიერთი ჩვენი თანამოქალაქის თუ თანასოფლელის გულარხეინობა და სიმშვიდე ასეთ გართულებულ ვითარებაში. რა უსაფრთხოების ზომების დაცვა, ისე ვატყობ ზოგიერთს თავიც კი მოსწონს, ნახეთ რა მაგარი ვარ, პირბადესაც კი არ ვატარებო. მე ისეთ ფაქტებს მოვიყვან, რომლებიც ვფიქრობ ბევრს შეგხვედრიათ.

ერთხელ სოლიდურად განსწავლულ პიროვნებას ვესალმები. როგორც მითითებულია მომუშტულ ხელს ვუწვდი. თუ კაცი ხარ რა გვაქვს საჩხუბარიო და გაშლილ ხელს მიწვდის. რას შვრები ახლა არ ჩამომართმევ?

ამას წინათ ქელეხის რიტუალზე გახლდით, საიდან არ იყვნენ ჩამოსულნი, ასეთ დროს ბევრს შეხვდები ისეთს წლები რომ არ გინახავს და თბილად, მაგრამ მორიდებულად გინდა მიესალმო. ვინ გაცლის, მო-



დის ტყვიასავთ და გეხვევა, გკოცნის, ხელიდან ვერ დაუძვრები: ისღა დაგვრჩენია ღმერთს შეევედრო კორონას არ ატარებდეს და არ გადმოგედოს. ეს ხალხმრავალი მაგიდები ხომ არა და არ აღიკვეთა, თუმც მცირე მაგიდაშიც ვინაა დაზღვეული. ამას წინათ მქონდა პატივი ერთ-ერთ ახლობელთან მაგიდაში მომხვდარიყავი. სულ რაღაც 5-6კაცი ვისხედით. ერთ გამორჩეულ სადღეგრძელოზე, თამადამ განსხვავებული სასმისი მოითხოვა. თქმა და შესრულება ერთი იყო—უცხოური წარმოების ლამაზი თასი მიართვეს. დაიწყო თამადამ და თასი მიმდევრობით ყველამ გამოცალა. მეყო სითამამე, იმ ჭიქით შევსვი სადღეგრძელო, რომელიც წინ მედგა. არაფერი მითხრეს, თუმცა გულში რომ დამძრახეს და საქციელი არავაჟკაცურად ჩამითვალეს არ უნდა ლაპარაკი. მაშინ ყველაფერი კარგად დამთავრდა, ღმერთმა აწიც ყველა დაიფაროს და არც კორონა და არც სხვა დაავადება შეხვედროდეთ, მაგრამ მეორე შემთხვევაში და უფრო დიდ მაგიდაში, განსხვავებული სასმისი კოვიდინფიცირების წყარო გამოდგა. ამას წინათ, ქალაქის ცენტრში მიმავალს, თავის საცხოვრებელი სახლის წინ მეზობელი შემხვდა. ვიდრე მივუახლოვდებოდი გამაფრთხილა, ახლოს არ მოხვიდე კორონა მაქვსო. დავიცავი დისტანცია და გამოვკითხე ამბავი. ლხინის სუფრაზე გახლდით, 40-50 კაცი იყო შეკრებილი, ჩვენებურების ამბავი ხომ იცი,—შუა სმაში განსხვავებული და აი, შედეგი მაგიდაში მსხდომმა, ხუთამდე კაცმა ვირუსი ავიკიდეთო.

ახლა კი ნანობდა, მაგრამ რა, ისღა დარჩენია იმკურნალოს და გამოჯანმრთელდეს.

მესმის მისი, როგორ არ მესმის, ნათქვამია ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, მაგრამ ისეთია ვითარება, ეს მტკიცე ჩვეულება უნდა დავარღვიოთ. ისე მოვიქცეთ, როგორც თითოეულის თავზე ამ.... საშინელ საფრთხესშეეფერება.

ზემოთაც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ არავის განსჯას არ ვაპირებ, ძალიან კარგადაც მესმის არსი ქრისტესმიერი შეგონების „ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხეთ“... უბრალოდ ცხოვრებისეული დრამატული ფაქტების კონსტატაციას ვახდენ, რომ სხვებმა არ გაიმეორონ მსგავსი, მაქსიმალურად დაიცვან მოცემული რეგულაციები.

ჯერჯერობით სხვა ალტერნატიული საშუალება გარდა რეგულაციების დაცვისა და მასიური ვაქცინაციისა არ არის ვირუსიდან თავის დაცვისა.

საქმეში ჩახედული სწავლულები კი თვლიან, რომ „პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი გზა თითოეული ადამიანის ბუნებრივი იმუნიტეტის გაძლიერებაა. მისი საცხოვრებელი, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების, კვების, სასმელი წყლის ხარისხის და ეკოლოგიის გაუმჯობესებაა“-ო, მაგრამ ასეთს თვით მაღალგანვითარებულ-ცივილურ ქვეყნებშიც ვერ ახერხებენ. ამიტომ ჩვენი სახელმწიფოს შეაძლებლობის პირობებში, რასაც გვთავაზობენ ის უნდა მივიღოთ და რასაც გვითითებენ ის უნდა გავითვალისწინოთ.

ი. ერაძე

გამარტივებული ვაქცინაცია

საქართველოში მნიშვნელოვნად მატულობს ვაქცინირებულ ადამიანთა რიცხვი. 2021 წლის 6 სექტემბრის მდგომარეობით აცრილია 1 326 000 -ზე მეტი, მაგრამ ვაქცინაციის ეს მაჩვენებელი მაინც არასაკმარისია.

მართალია ავადდებიან ვაქცინირებულებიც, მაგრამ იშვიათად და მსუბუქად. ერთმა თერჯოლელმა, რომელიც ორი დოზით იყო აცრილი და კორონა მაინც შეხვდა, გვითხრა—სურდო უფრო ძნელად გადამიტანია, ვიდრე კორონაო. თანდათან ვრწმუნდებით, რომ ვაქცინაცია, პირბადე, დისტანცია, ყველა სხვა რეგულაციების დაცვა, არის ერთადერთი გზა ვირუსის დასამარცხებლად, იგი უცვლელი მოთხოვნაა, მაგრამ რომ არ ვიცავთ? რეგულაციები დაცულია სუპერმარკეტებში, საბანკო დაწესებულებებში, აფთიაქებში, მაგრამ ყველგან არა. პირბადეს ხშირად უნდა ვიცვლიდეთ და თავდახურულ ურნაში ვათავსებდეთ, მაგრამ ხანდახან ქუჩაშიც ვყრით!

* * *

საქართველოში თითქმის ყველა სახის ვაქცინაა შემოსული და თანაც დიდი რაოდენობით, არის მისი არჩევის შესაძლებლობა, გამარტივდა დარეგისტრირების პროცესი იმდენადაც კი, რომ საკმარისია მხოლოდ პირადობის წარდგენა. მარტო თერჯოლაში, გარდა იმისა, რომ არის ვაქცინაციის კაბინეტი, რვა ამბულატორიაში: რუფოთში, სიქთარვაში, ჩხარში, ზედა სიმონეთში, თუზში, ბარდუბანში, ჭოგნარსა და გოდოგანში შეიძლება ვაქცინაციის ჩატარება.

ჩვენ რამდენიმე ამბულატორიის ექიმს გავესაუბრეთ.

ვითარება სოფლებში

სიქთარვის ამბულატორიას (ექიმი და გამგე **ლია კახიძე**) ორი ოთახი უკავია, ოთახები გარემონტებულია და სათანადო

პირობებია არა მარტო პაციენტთა მისაღებად, არამედ ვაქცინაციის ჩასატარებლად. ქალბატონი ლია და ამბულატორიის ექთანი **ნარგიზ სირბილაძე** გადამზადდნენ, გაიარეს ტრენინგები. ქალბატონი ლიას თქმით, მოსახლეობის თითქმის მესამედმა ვირუსი უკვე გადაიტანა, რაც არ ნიშნავს იმას, რომ აცრა არ სჭირდებათ, სწორედ ვირუსგადატანილი მარინა სირბილაძე აიცრა ერთ-ერთი პირველი და აიცრნენ მისი ოჯახის წევრებიც, პირველი აიცრა მაღაზიის მეპატრონე ნელი ფოფხაძე—ისინი კარგად არიან და სხვებსაც აცრისკენ მოუწოდებენ.

ამბულატორიებში და ცხადია სიქთარვაშიც ვაქცინაცია ჩინური—სინოვაკისა და სინოფარმის ვაქცინით მიმდინარეობს, ფაიზერის ვაქცინის შენახვის პირობები არ არის, მაგრამ, ვისაც მაინდამაინც ფაიზერით აცრა სურს, დარეგისტრირებაში ეხმარებიან. გარკვეული მუშაობაა გაწეული მოსახლეობის ინფორმირებისათვის, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პირად მაგალითს ქალბატონი ლია და ნარგიზი პირველი ტაღლის დროს უკვე აცრილები იყვნენ.

2021 წლის 6 სექტემბრის მდგომარეობით ამბულატორიაში აცრილია 80 ადამიანი.

თუზის საექიმო ამბულატორიაში (ექიმი და გამგე **ლეელა ხუსკივაძე**) ორი ბრიგადაა შექმნილი. ქალბატონი ლელა და ექთნები **ქეთინო გოქსაძე, გულნაზი სულიაშვილი** გადამზადებულნი არიან, ტრენინგები გაიარეს. ფართო ახსნა-განმარტება მოსახლეობაში აქ ადრიდანვე დაიწყო. მოსახლეობა ინფორმირებულია. ვაქცინა აქაც ჩინური აქვთ, ექიმის თქმით ხალხმა ირწმუნა ვაქცინაციის მნიშვნელობა და აქტიურობს, განსაკუთრებით საჯარო სკოლის პედაგოგები, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი უკვე აცრილი იყო, როცა აქ ვაქცინაციის პროცესი დაიწყო, მეორე დოზას აქ აიცრიან. ამბულატორიის ახლოს მცხოვრები ღუტუნა, ტარიელ თურქაძეები პირველები აიცრნენ, ახლა სხვებსაც მოუწოდებენ—დააჩქარონ ვაქცინაცია. ასეთი მოწოდებები და პირადი მაგალითი კარგ შედეგს იძლევაო თქვა ქეთევანმა და თვითონ და ექთნებმა პირველებმა აიცრეს, ვაქცინირებულია მერის წარმომადგენელი და სხვა თანამშრომლები. ვაქცინაციისათვის მისულ ადამიანებს მრავალ შეკითხვას აძლევს ექიმი, ვინც კითხვებს აკმაყოფილებს უცრიან, ჰქონდათ ერთეული შემთხვევა, როცა გადადეს აცრა და სხვა ზომები მიიღეს.

6 სექტემბრის მდგომარეობით თუზის ამბულატორიაში 75 კაცია აცრილი. ვაქცინაციის პროცესი ზემოთ ჩამოთვლილ ამბულატორიებში გრძელდება.

ქართველს შეიძლება ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ ერთმანეთის თანადგომის, ჭირსა და ლხინში ერთად დგომის ფასი ყველა ერზე კარგად ვიცით. ვერაგია ეს ვირუსი, ადამიანის სიკვდილი თავისთავად უმძიმესია, მაგრამ პატივის მიუგებლობა, ავადმყოფთან მიუსვლელობა, არა ნაკლებ მტკივნეული. ისე მიებარნენ მიწას ჩვენი ღირსეული ადამიანები, ყვავილი ვერ მივუტანეთ, ახლობლები ვერ ვანუგეშეთ. მარტო ამისთვის ღირს გავიკეთოთ ვაქცინაცია, ვატაროთ პირბადე და დავიცვათ დისტანცია.

ჟუჟუნა ცხადაძე

ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მუშაობა აქტიურ ფაზაშია...

იმ ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის, რომლებიც მიმდინარე წელს დაიწყო თერჯოლის მუნიციპალიტეტში და იმ პროექტებზე, რომლებიც გარდამავალი იყო ან გარდამავალია სამომავლოდ, გასული ზაფხულის ბოლო თვე და შემოდგომის ეს თვეები შეიძლება ითქვას, რომ მეტად მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენენ.

ამდენად, გასაკვირი არაა, რომ მათი შესრულების მიმდინარეობა, ქვემდებარეობის მიხედვით ყველა შესაბამისი უწყების ზედამხედველობის ქვეშაა. თუმც, უნდა ითქვას, რომ მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მმართველობა, ქვემდებარეობის მიუხედავად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი არცერთი პროექტის შესრულების მიმდინარეობას არ აკლებს ყურადღებას. ეს პროექტები კი ჯამურ ციფრებში საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება.

ამჟამად ყველა უწყებრივი ქვემდებარების მიხედვით განხორციელებაშია 120-მდე პროექტი, რომელთა საერთო სახარჯთარღიცხვო ღირებულება 45 მლნ ლარამდეა. აქვე მისანიშნებელია ისიც, რომ 10 პროექტი, საერთო ღირებულებით 5 მლნ ლარი უკვე შესრულებულია. 2 პროექტი კი, რომელიც გარდამავალი იყო—მომავალი წლის ნაცვლად წელსვე დასრულდება, რაც კარგ პრაქტიკად ყალიბდება თერჯოლის სინამდვილეში.

აქვე გვინდა ჩვენს თანამოქალაქეებს მივაწოდოთ ერთი მეტად სასიამოვნო ინფორმაცია. თერჯოლაში დღე-დღეზე დაიწყება იუსტიციის სახლის მშენებლოვა, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 5 მლნ. ლარია.

ამჯერად, ამ ათეულობით პროექტიდან ყურადღებას ტრადიციულად რამდენიმე მათგანზე შევაჩერებთ...

ღვანკითი-ავტობანის გზა

ღვანკითი-ავტობანის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები რეგიონული განვითარების ფონდიდან, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით დაიწყო.

ამ დროისთვის, ამ გზის მონაკვეთის დაპროფილება მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში მოეწყობა 2 კმ-იანი სიგრძის საავტომობილო გზა არმირებული ბეტონის საფარით, ასევე ეზოებთან მისასვლელები და ბოგირები.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ალპედე“ ახორციელებს, რომლის ღირებულებაც 500 000 ლარია. პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები მიმდინარე წელს დასრულდება.

კვახჭირის ცენტრალური სასოფლო გზა

ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს კვახჭირის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრალური საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.

ეს ინფრასტრუქტურული პროექტი ითვალისწინებს 2,3 კმ-იან გზის ზედაპირზე არმირებული ბეტონის საფარის დაგებას, რომელიც რეგიონული განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება. გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარე წელს დაიწყო და 2022 წელს დასრულდება.

გზის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „მეკა“ ახორციელებს, რომლის ღირებულება 840000 ლარია. აღნიშნული გზის პროექტი გარდამავალია და 2022 წელს დასრულდება.

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის გოდოგნის ადმინისტრაციულ ერთეულში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობს შიდა საუბნო გზების მოწესრიგება.

აქ, პროგრამის ფარგლებში პროექტების განხორციელება დაიგეგმა. საერთო კრებებზე მოსახლეობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების გათვალისწინებით. ბეტონის საფარი მოეწყო რამდენიმე რთულ მონაკვეთზე, ასეთივე საფარი მოეწყობა სოფელ ბროლისქედში, ნაგარევსა და ჭალასთავში.

რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებზე...

აქტიურად მიმდინარეობს გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ თერჯოლის მუნიციპალიტეტში.

ამ ეტაპზე სამუშაოები ტარდება, ჩოლაბურის ხიდის მე-8 კმ-დან რუფოთი-ალისუბანი-საზანო-თუზი-ქვაციხე-კაცხის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის 17 კმ-იან მონაკვეთზე, აღნიშნული გზა უმოკლესი მანძილით აკავშირებს მაგისტრალის არეალში განთავსებულ სოფლებს ერთმანეთთან.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება, საყრდენი კედლების, სანიაღვრე არხების, საფეხმავლო ბილიკების, ადგილობრივ გზებთან მიერთებების, ადგილობრივი შესასვლელებისა და დასახლებულ ადგილებში ეზოებში შესასვლელების მოწყობა.

გზის სარეაბილიტაციო სამშენებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“ ასრულებს, რომლის ღირებულება 18 000 000 ლარია.

სახლები სოციალურად დაუცველებს

თერჯოლის მუნიციპალიტეტში აქტიურ ფაზაშია სოციალურად შეჭირვებული ხუთი ოჯახისათვის სახლების მშენებლობა, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 175 000 ლარი დაიხარჯება.

სახლდაზიანების პროგრამის მიზანი, სოციალურად დაუცველთათვის უსაფრთხო და კომფორტული საცხოვრებელი პირობების შექმნაა.

„ეს ოჯახები ცხოვრობდნენ ამორტიზებულ სახლებში, რომლებიც შეკეთებას არ ექვემდებარებოდა. მიმდინარე წელს ადგილობრივ ბიუჯეტში სახლდაზიანების პროგრამის ეფექტური მუშაობისთვის თანხა 175 000 ლარამდე გაიზარდა, რომლის ფარგლებში 5 საცხოვრებელი სახლი აშენდება. სახლების სამშენებლო სამუშაოები ყველა სტანდარტის დაცვით მიმდინარეობს“—აცხადებენ მუნიციპალიტეტის მერიაში.

როგორც პროგრამით მოსარგებლე ერთ-ერთმა ბენეფიციარმა, ნინელი კეზევაძემ აღნიშნა- „ადგილობრივი ხელისუფლება აქტიურადაა ჩართული თითოეული მოქალაქის ყოფითი პრობლემის მოგვარების საქმეში. ჩემი განცხადების დაკმაყოფილება შესაბამისი კომისიის მიერ, საცხოვრებელი პირობების ადგილზე გადამოწმებისა და დეტალური განხილვის შემდეგ მოხდა. მჯერა, რომ მომავალში, საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის პრობლემა კიდევ ბევრ ოჯახს მოუგვარდება.”

სამშენებლო სამუშაოებს ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „გზები 2“ ახორციელებს.

უფასო პოლიტიკური რეკლამა

თერჯოლის განვითარებისათვის...

პოლიტიკური რეკლამის ამ გვერდზე გთავაზობთ ამონარიდებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატის წარდგენის შეკრებაზე მხარდასაჭერი გამოსვლებიდან და თავად მერობის კანდიდატის, ლაშა გოგიაშვილის სამადლობელ სიტყვას.

ირაკლი ღარიბაშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი

ჩვენი მთავარი ამოცანა უნდა იყოს სიმშვიდისა და სტაბილურობის შენარჩუნება. განვითარების შეტანა ყველა რეგიონში, ყველა ქალაქში, ყველა მუნიციპალიტეტში. ხალხს სჭირდება მეტი სამუშაო ადგილი, მეტი ეკონომიკური კეთილდღეობა, მეტი განვითარება, წინსვლა და მეტი პროგრესი...

ჩვენ მობილიზებულად უნდა ჩავატაროთ არჩევნები. მშვიდად, თავისუფალი, გამჭვირვალე არჩევნები და მოვიგოთ ღირსეულად და გავაგრძელოთ ჩვენი ქვეყნის მშენებლობა.

ყველა რეგიონის მიმართულებით ჩვენ წარმოგიდგენთ კონკრეტულ რეფორმებს, კონკრეტულ გეგმებს, კონკრეტულ პროგრამებს, რომლებიც მხოლოდ ჩვენს მოსახლეობაზე იქნება ორიენტირებული.

მეტი დასაქმება, მეტი სამუშაო ადგილები - ეს იქნება ჩვენი მთავარი საზრუნავი და ჩვენი მთავარი მიზანი.

კიდევ ერთხელ, მინდა ყველას მადლობა გადაგიხადოთ ერთგულებისთვის. ერთგულება, მადლიერება, სიმართლე, ღირსება, პატიოსნება გამოარჩევს ჩვენს დიდ ოჯახს, გაერთიანებას - „ქართულ ოცნებას“ და სწორედ, ამ ფასეულობებზე დგას ჩვენი პოლიტიკური გუნდი. ამ იდეალებით, ამ პრინციპებით, ჩვენ ერთად გავაგრძელებთ ჩვენი ქვეყნის მშენებლობას და აუცილებლად გავიმარჯვებთ 2 ოქტომბერს, ყველა ქალაქში და ყველა მუნიციპალიტეტში.

კახა კუჭავა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

არ შემიძლია რამოდენიმე სიტყვა არ ვთქვა თქვენს კანდიდატზე - ადამიანი, რომელიც გამოირჩევა დიდი სიყვარულით მშობლიური თერჯოლის მიმართ და რაც ყველაზე მთავარია, პატიოსნებით, შრომისმოყვარეობით და იმ ხედვებით, ჟინით, რომლითაც მას უნდა დიდ წარმატებას მიაღწიოს თერჯოლამ, მთლიანად მუნიციპალიტეტმა, ყველა იმ სოფელმა, სადაც ის ყოველდღიურად დადის და თითოეულ ოჯახთან აქვს კომუნიკაცია.

ზვიად შალამბერიძე, სახელმწიფო რწმუნებული იმერეთში

იმერეთში, ბოლო წლების განმავლობაში, ჩვენი მთავრობის დროს 4 მილიარდ ნახევარი ლარის პროექტები გვაქვს განხორციელებული. 450 სოფლამდე ცენტრალური გზა გვაქვს გაკეთებული, 542 სოფლიდან. ეს არის თითქმის 80 პროცენტი, როდესაც მხოლოდ 80-მდე სოფელში იყო ცენტრალური გზა. გარდა ამისა თერჯოლა არის ერთ-ერთი მუნიციპალიტეტი, რომელშიც მთლიანად მოხდა გაზიფიცირება და სწორედ იმ პროექტით, რომელიც ვახსენე ცოტა ხნის წინ, ის რომ ხალხს და ხალხის საჭიროებებს მოხმარებოდა, არა მარტო ცენტრალური გზები, დღეს ბევრად მეტი სოფელი გვექნებოდა გაზიფიცირებული იმერეთში. დღეს ამ 542 სოფლიდა 239 სოფელია გაზიფიცირებული. 2012 წლამდე და 2012 წელს ეს ციფრი შეადგენდა მხოლოდ 59 სოფელს. შევადაროთ ერთმანეთს ვინ აკეთებს სახალხო საქმეს და ვინ არ აკეთებს და ვისზე იყო ყველაფერი მორგებული.

ლაშა გოგიაშვილი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატი

მე ძალიან ამაყი ვარ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ხელმეორედ, ჩემზე გააკეთა არჩევანი და მომცა საშუალება, რომ ვიყო თერჯოლის არჩეული მერი. თერჯოლა არის ჩემთვის სახლი, აქ არიან ჩემი მეგობრები, ჩემი სანათესაო და საყვარელი ადამიანები.

მე მინდა მადლობა გადავუხადო პოლიტიკურ გუნდს, მითუმეტეს, რომ ნამდვილად 2011 წლის შემდეგ ქვეყანაში ვითარება ყველა მიმართულებით გაუმჯობესდა.

დამოუკიდებელ საქართველოში ყველაზე ხანგრძლივად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მშვიდობა არასდროს არ ყოფილა.

მოგეხსენებათ, საარჩევნო პერიოდია, დავდივართ ყველა სოფელში, ყველა უბანში ფეხდაფეხ და შეიძლება ითქვას, რომ 2012 წლის შემდეგ რაც ჩვენს რაიონში გაკეთდა, არის ინფრასტრუქტურის, განათლებისა და ჯანდაცვის მიმართულება. ასეთი წინსვლა ჩვენს რაიონში არ ყოფილა.

ბატონმა კახამ ახსენა გაზიფიცირება, რომელიც თერჯოლის ყველა სოფელში მოწესრიგებულია. ცენტრალური გზები უკვე ყველა სოფელს გაკეთებული აქვს. ჩემს მშობლიურ თერჯოლაში ბოლო წლების განმავლობაში ბევრი სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა.

კარგად ვიცით ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობა ბევრი გამოწვევის წინაშეა, თუმცა, მჯერა, ამ გამოწვევებს და ამ პრობლემებს ერთად გავართმევთ თავს. მე და ჩემმა გუნდმა ზუსტად ვიცით, რა ესაჭიროება ჩვენს თერჯოლელებს.

ჩვენი მთავრი გამოწვევაა ჩვენი მუნიციპალიტეტისა და ჩვენი თითოეული ოჯახისთვის პირობების გაუმჯობესება, ამასთანავე მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე გვერდით დგომა. ცენტრალური ხელისუფლება ყოველთვის იდგა ჩვენს გვერდით, ასე გაგრძელდება. დარწმუნებული ვარ, სწორ არჩევანს გავაკეთებთ და იმ გადაწყვეტილებას მივიღებთ, რომელიც 2012 წლიდან ყოველ არჩევნებზე კეთდებოდა. მჯერა, რომ ერთად გავიმარჯვებთ და ერთად ავაშენებთ იმ სანატრელ რაიონს, რომელსაც თერჯოლა და საქართველო ჰქვია.

მინდა წარმოგიდგინოთ საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები: ელისო მურადაშვილი, გრიგოლ გიორგაძე, გიორგი ქასრაშვილი, კახაბერ წივწივაძე, გოჩა ვერულაშვილი, ჯემალ ისაკაძე, შალვა ჭანკვეტაძე, ბადრი ბუცხრიკიძე, დავით გოგბერაშვილი, მანუჩარ ფანჩულიძე.

ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ!

გელა დადუნაშვილის საოჯახო ბიზნესი

პომიდორი რომ შემოვა შიმშილის ნუღარ გეშინიაო უთქვამთ ძველებს და საერთოდ, კიტრის და პომიდორის გარეშე რაა მაგიდა რისაც არ უნდა იყოს. ზამთარია თუ ზაფხული ეს დალოცვილი ბაღჩეული სასწაულად ამშვენებს სუფრას. ზაფხულში თუ აგერ, ნებისმიერ მაღაზიაში შეგიძლია შეიძინო, ზამთარში ნურას უკაცრავად, ზესტაფონში ან ქუთაისში მოგიწევს წასვლა და რა თქმა უნდა იმპორტირებულის. ერთხელ გულუბრყვილობა გამოვიჩინე და ვკითხე გამყიდველს ხომ ჩვენებურია-მეთქი, გადაფიჩინდა სიცილით, ზამთარში რომელი ჩვენებური მოგიყვანსო კიტრს და პომიდორს. თურქულია, თურქულიო. იქით, გვერდზე ირანული კომბოსტო და სტაფილო იყიდებოდა... რას ვიზამთ ჯერჯერობით მათ დონეზე ვერ ავიდა ჩვენი სოფლის მეურნეობა, რომ ზამთარშიც ვაწარმოოთ პროდუქცია. აი, ზაფხულში კიტრისა და პომიდორის მოყვანა ბევრმა მეურნემ დაამუღამა და შემოსავალსაც კარგს ღებულობს. ერთ-ერთი მათგანია ღვანკითელი გელა დადუნაშვილი. ეს გამრჯე კაცი დღენიადაგ ფუტკარივით შრომობს, მუდამ ახლის ძიებაშია და შედეგსაც აღწევს, სასურსათო მაღაზიებში შემთხვევით არ კითხულობენ მის მიერ წარმოებულ ბაღჩეულ-ბოსტნეულს, ჯერ ერთი—გელას მიერ მოყვანილი პროდუქტი ეკოლოგიურად სუფთაა და მეორეც—საუკეთესო ხარისხისაა. თუ ზოგიერთი სხვის მიერ მოყვანილ პომიდორს ნაჯახით ვერ გაჩეხავ (იმპორტირებულზე არა მაქვს საუბარი, ის მხოლოდ ბუტაფორიაა მაგიდაში და მეტი არაფერი). გელას საოჯახო ბიზნესით მოყვანილი ვარდისფერი პომიდორის დაგემოვნებას არაფერი სჯობს.

გვქონდა საშუალება უშუალოდ სათბურშიც და ბაღჩეულის ფართობებში გვენახა გელა. ამჟამად საზამთროს რეალიზაციას ეწევა. 2 ჰექტარი ადგილი აჯამეთის ტერიტორიაზე იჯარით აქვს აღებული. დიდრონი საზამთროები მიჯრით რომაა მიწყობილი კვლებში საამო სანახავია. გემოს ნულარ იკითხავთ. ახალ პარტიას ალაგებდნენ მანქანაში საავჭრო ქსელში დასარიგებლად, რომ მორჩა საქმეს დავჯექით, წავისაუბრეთ, სოფლის ირგვლივ აქეთურ-იქეთური.

ადრე საოჯახო მეურნეობაში და ღვანკითის სავარგულებში მოგყავდა მოსავალი, ასე შორს რამ წამოგიყვანა-მეთქი ვკითხე. სათბური საკარმიდამოში ახლაც მაქვს, იქ პომიდორი მომყავს, სიმინდიც მითესია საკმაოდ დიდ ფართობზე, მაგრამ აჯამეთის ეს ადგილები, სადაც ახლა ვიმყოფებით, ჩვენი სოფლისას იმით სჯობია რომ ირწყვება. აჯამეთი კომუნისტურ ხანაში რაიონის სიმინდის და ბაღჩეულ-ბოსტნეულის ბეღელი იყო გემახსოვრებათ, მეუბნება გელა, ახლა ხედავთ აქაიქ თუა დამუშავებული, მასიური ფართობები გაპარტახებულია, კაცი აღარ ეკარება. გაუჭირდათ მოვლა და მიატოვეს, უცხოეთში გაიკრიფა ხალხი სამუშაოდ. პირადად ღვანკითიდან, მთელი ოჯახით, ყოველდღე ამ სიშორეზე დავდივართ. არაა იოლი, მაგრამ თუ არ გაისარჯე, თუ ოფლი არ გამოიდინე რას მოიყვან და რას აწარმოებ. დღე-ღამეში 4-5 საათი თუ მძინავს. სამაგიეროდ, უზომო კმაყოფილებას მანიჭებს შრომით შექმნილი დოვლათი. შემოსავალი რომ აქვს ოჯახს უცხოეთისაკენ აღარ იზამს პირს მისი წევრები.

ქვეყნის ხსნა, სიდუხჭირისაგან თავის დაღწევა სოფლის აღორძინებაშია, ამიტომ სოფელს და მეურნე კაცს მეტი დახმარება სჭირდება. ამ მიზნით კი მართალია შეიქმნა და დაფინანსდა არა ერთი და ორი პროექტი: ეს აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამა, ეს ჩაის პლანტაციების რეალიზაციის პროგრამა, მეურნეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამა, შეღავათიანი აგროკრედიტები (მეც ვისარგებლე ამ უკანასკნელით) და სხვა თანადაფინანსების პროექტები. მაგრამ, როგორც ვხედავთ ის შედეგი არაა, როგორიც უნდა იყოს. სოფლის მეურნეობა კვლავ ჩამორჩენილია, კვების პროდუქტების უმეტესი ნაწილი კვლავ უცხოეთიდან შემოგვაქვს. როგორც ჩანს სხვა უფრო ეფექტიანი გზების ძიებაა საჭირო. ამაზე დარგის მესვეურებმა უნდა იზრუნონ. აგერ მეზობელ თურქეთში ისე განავითარეს უაღრესად ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობა, რომ ჩვენები ახლა იქ მიდიან თხილის საბოჭად და ჩაის საკრეფად. ქართული ბაზრები თურქული პროდუქციითაა გაჯერებული.

ჩემი აზრით საჭიროა და აუცილებელი ოჯახური ბიზნესის განვითარება. ისე მუყაითად არავინ დაგიდგება მხარში, როგორც ოჯახის წევრი. გამიგონია, იტალიასა და საფრანგეთში თურმე ოჯახი 4-5 წევრით 100-150 ჰა-ს და მეტ ფართობს უვლის. ჩვენთან უფრო კოოპერატივებს უხსნიან გზას, მაგრამ ვერ გამრავლდა ეს კოოპერატივები. აი, საოჯახო ბიზნესი რომ იყოს ყურადღებით გარემოცული ხომ წარმოგიდგენიათ მასში რამდენი ოჯახი ჩაებმებოდა. შესაბამისად იმატებდა სოფლის დოვლათი, ასკვნის ბატონი გელა.

ამ საკითხებში ჩემი აზრი სრულად ემთხვევა ჩემი ინტერვიუერისას. რომ საოჯახო ბიზნესი იყოს განვითარებული პირადადაც კაი გვარიანი ფერმერი ვიქნებოდი.

დავიიმედოთ თავი, რომ ამ საჭირო და გადაუდებელ საქმეს სათანადოდ მიეხედება.

ი. ერაძე

„აი ფაქტი“ და „თერჯოლის ხმა“ „თერჯოლას“ შესახებ ანუ პასუხი კითხვაზე—არის გაზეთი „თერჯოლა“ თერჯოლის ხმა?...



წლები რბიან... გაზეთი „თერჯოლა“ მალე საუკუნოვან იუბილეს აღნიშნავს... ჩვენ, ვინც თითქმის ბოლო ათწლეულების განმავლობაში მის არსებობას და „სიცოცხლეს“ ვესათუთ-ვემსახურებით, ძალიან გვახარებს მკითხველთა ის უამრავი შეხმიანება, შეფასება, ნახვა თუ გაზიარება, რომელიც სოციალურ ქსელში „თერჯოლის“ კვლავ განთავსებას მოჰყვა თან... ვიდრე ამ გამოხმაურებებსა და შეფასებებს გაგაცნობთ, ორიოდე სიტყვით, იმის შესახებ თუ რატომ იწერება ეს სტრიქონები...

ამას წინ, არასამთავრობო ჟურნალისტურმა საგამოძიებო ორგანიზაციამ „აი ფაქტი“ სოციალურ ქსელში განათავსა ინფორმაცია, სადაც აღნიშნულია, რომ გაზეთ „თერჯოლას“ მუნიციპალიტეტი საკუთარი აქტივობების პოპულარიზაციისათვის აფინანსებს, რომ გაზეთის ბიუჯეტი ბოლო წლების განმავლობაში იზრდება და რომ 2021 წელს 55 ათას ლარს შეადგენს... იქვე აღნიშნულია, რომ გაზეთი „თერჯოლა“ 2000 წელს დაფუძნდა, ის რვა გვერდისგან შედგება და თვეში ორჯერ იბეჭდება, ერთი ეგზემპლარი 50 თეთრი ღირს და თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვრცელდება.

„აი ფაქტის“ ეს ინფორმაცია სოციალურ ქსელში გაზეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად გააზიარა და თავისი კომენტარიც დაურთო ჩვენთვის უცნობმა „ფეისბუქ“ გვერდმა „თერჯოლის ხმა“, რომელმაც სოციალურ ქსელში გაშალა დისკუსია თემაზე—„არის გაზეთი „თერჯოლა“ თერჯოლის ხმა?“ „რას ფიქრობთ თქვენ?“

მოლოდინის რეჟიმს არ შეგიქმნით და აქვე პირდაპირ გეტყვით—ორივე კითხვაზე გამოქვეყნებული გამოხმაურებები მოწმობენ, რომ გაზეთს დადებითად აფასებს ჩვენი მკითხველი, გვყავს მხარდამჭერთა არმია და რაც მთავარია მას ინტერესით კითხულობენ...

ახლა, რაც შეეხება მუნიციპალიტეტის მიერ გაზეთის დაფინანსების საკითხს—დიახ, მუნიციპალიტეტსა და გაზეთს შორის არსებობს ხელშეკრულება, რომლის მიხედვით გაზეთი ვალდებულებას იღებს, რომ თავის გვერდზე სისტემატურად გააშუქოს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ყველა მიმართულება, მათი განვითარების მიმდინარეობა, მერიისა და საკრებულოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და განკარგულებები, შეუწყოს ხელი რაიონის მმართველობაში მოქალაქეთა აქტიურად ჩართვას, ინფრასტრუქტურული თუ სოციალური პროგრამების შესრულების მიმდინარეობაზე საზოგადოების ვრცლად ინფორმირებას. ყოველთვიურად ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაზე ორივე მხარე ადგენს შესაბამის აქტს, რომლის საფუძველზე თვითმმართველობა გაზეთს უხდის ფიქსირებულ თანხას, თუმც, ეს არ ნიშნავს, რომ გაზეთი სრულად ფინანსდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. გაზეთს აქვს თავისი შემოსავლები, რომელიც ძირითადად მისი გავრცელების, განცხადებების თუ რეკლამის განთავსების შემთხვევაში შემოდის.

„თერჯოლა“ თერჯოლის ისტორიაა

„იმ გაზეთს თუ ჟურნალს, რომელსაც აქვს თავისი ღირსების ცნობა, თავისი პატივისცემა და თავისი კეთილშობილური თავმოწონება, იგი იმავე ღირსებით, იმავე პატივისცემით უნდა მოექცეს ყოველს კერძო პირს და ყოველს საზოგადოებას. ეგ პატივისცემა, კერძო პირისა და საზოგადოებისა დედა კანონად უნდა ჰქონდეს ყოველ რიგიანს და მართებულ ჟურნალსა თუ გაზეთსა“.

მართალია, ეს სტრიქონები საუკუნეზე მეტი ხნის წინ დაიწერა, თუმცა პირობა, რომელსაც დიდი შემოქმედი და საზოგადო მოღვაწე ჟურნალ-გაზეთის მესვეურთ განუსაზღვრავს წარსულშიც და ახლაც, თანამედროვეობაშიც აქტუალური და მნიშვნელოვანია.

ილიას ეს შეგონება კარგად ესმოდათ ჩვენს წინამორბედ ჟურნალისტებს და კარგად გვესმის ჩვენც, როცა თითოეული ინფორმაციის, ნარკვევის, ინტერვიუს, თუ ნებისმიერი სტატიის მომზადებისას ვითვალისწინებთ თითოეული ადამიანის ინტერესს, ვცდილობთ ვუთხრათ მათ სიმართლე და მხოლოდ სიმართლე, გავაცნოთ კარგად გადამოწმებული ფაქტები, სიახლეები. გავაცნოთ სამაგალითო, უბრალო და გამოჩენილი წარმატებული ადამიანები, ოჯახები, პოლიტიკურ და სოციალურ სფეროში მიმდინარე პროცესები. დიდია თემათა ნუსხა, რომელთაც გაზეთი წლების განმავლობაში შესაძლებლობის ფარგლებში აწვდის მკითხველს. თუმცა, ჩვენგან გასაჯაროებულ ამ თემებში კარგად იკითხება, რომ თქვენთვის უცხო და მიუღებელია სიძულვილის ენითა და ზიზღით საუბარი, ცილისწამება და სხვა უგვანო საქციელი...

გაზეთის ფურცლები ინახავს არაერთ საინტერესო მოსაზრებას, შენიშვნას თუ წინადადებას სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლისა თუ რიგითი ადამიანის განათლების, კულტურის, სპორტის, სასოფლო-სამეურნეო დარგების თუ წარმოება-დაწესებულებათა საქმიანობის ამსახველ მასალებს და რაც მთავარია „თერჯოლა“ თითქმის ერთსაუკუნოვანი მემატიანეა, ისტორიაა, რომელიც ამ ხნის მანძილზე აგროვებს და ინახავს თერჯოლის რაიონში და არა მხოლოდ, მომხდარ მნიშვნელოვან ფაქტებსა და მოვლენებს...

გაზეთს ყოველთვის ლაიტმოტივად გასდევდა პოზიტივი და ასეა დღემდე, თუმცა იწერებოდა კრიტიკული შენიშვნები, რომელზე რეაგირებაც ადრესატისაგან, ბუნებრივია, გარკვეულად წაადგებოდა რაიონის განვითარებას თუ ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას...

კუთვნილ ადგილს ვუთმობთ ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი თარიღების აღნიშვნასა და მკითხველისათვის მათი მნიშვნელობის შეხსენებას, ასევე რელიგიის საკითხებს... მუდმივი ყურადღების ცენტრშია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა საგმირო საქმიანობა, უმნიშვნელოვანესია დედაენისა და ქართული ენის სიწმინდის დაცვა...

გაზეთი მხარს უჭერს და ადგილს უთმობს აქტივობებს, მნიშვნელოვან პროექტებს, რომელიც ხორციელდება მუნიციპალიტეტში და განვითარებას და კეთილდღეობას ემსახურება...

გაზეთი „თერჯოლა“ გმობს ყოველგვარ ძალადობას...

დაუსრულებლად შეიძლება გავაგრძელოთ, თუმცა ყველაფერს ვერ ჩამოვთვლით.

ასე მოიტანა „თერჯოლა“ დღემდე რედაქციელთა არაერთმა თაობამ, მოიტანა ჩვენი პროფესიის უსაზღვრო სიყვარულით, პასუხისმგებლობით წარსულისა და აწმყოს მიმართ, მოიტანა ენთუზიაზმით... დიახ, ენთუზიაზმით—მიზერული სახელფასო განაკვეთით, ზოგჯერ (კერძოდ 1995-96-97 წლებში) საერთოდ უხელფასოდ. ამის გამო შეწყდა მრავალ რაიონში გაზეთის არსებობა, ჩვენ არ დავნებდით და შევუნარჩუნეთ ჩვენს მკითხველს, რაიონს, მომავალ თაობებს. ჯერ კიდევ 2-3 წლის წინ ჩვენი ჟურნალისტების დარიცხული ხელფასი 300 ლარიც არ იყო, დღეისათვის, ამ ეკონომიური სიდუხჭირისა და ინფლაციის პირობებში, 400 ლარი ზოგიერთისათვის, ალბათ, სასაცილოც კია, რას ვიზამთ... ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია, როცა მკითხველი ამა თუ იმ ნომერს გვთხოვს, ან მადლობას გვეტყვის ამა თუ იმ სტატიის გამო, თუნდაც ამისათვის ღირს მუშაობა.

მთავარია ჩვენ ვქმნით, ვცდილობთ ყოველ შემთხვევაში ჩვენი მკითხველისათვის გაზეთი იყოს საინტერესო...

ზოგჯერ დგება საკითხი, 21-ე საუკუნეში, ინტერნეტისა და საინფორმაციო ხელმისაწვდომობის პირობებში არის თუ არა საჭირო პრესა? მავანთა აზრი შეიძლება იყოს უარყოფითიც, თუმცა, ჩვენ ისე როგორც მრავალ სხვას, რომელსაც ხელი ნაკლებად მიუწვდებათ ინტერნეტსივრცეზე მიგვაჩნია, რომ, ისე როგორც წიგნი, ჟურნალ-გაზეთიც აუცილებელია და სარგებლის მომტანი... მეტიც, ბეჭდვითი მედია შეუცვლელია...

არ ვიცი დღეს რიჩარდ ნიქსონი ცოცხალი რომ იყოს იტყოდა თუ არა ისევ **„სჯობს ერთი დოლარი ჩადო პრესაში, ვიდრე 10000 იარაღში“**, ან ნაპოლეონ ბონაპარტე გაიმეორებდა თუ არა: **„ერთი გაზეთი მირჩევნია ას გენერალს“**-ო. ის კი ცხადია, რომ თუ ბისმარკი ჟურნალისტებს მაგიდის ქვეშ ეძებდა... გარკვეულ თანამდებობის პირებს დღესაც აფრთხობს და აღიზიანებს ჟურნალისტების კრიტიკული შეკითხვები.

ჩვენ და ჩვენი მკითხველი

„თერჯოლის“ მიმართ მკითხველის ინტერესი არასოდეს შეწყვეტილა, მაშინაც კი, როცა მისი ყიდვის საშუალებაც არ ჰქონია. ბევრისაგან გამიგია, რომ რაიონის გაზეთი საჭირო და აუცილებელია რაიონის ცხოვრების გასაცნობად, მისი ისტორიის შესანახად.

ახლა „თერჯოლას“ უკვე ინტერნეტშიც კითხულობენ. გვეგონა დღემდე, რომ გაზეთს მხოლოდ ასაკოვანი ადამიანები კითხულობენ, თუმცა ახლა დავრწმუნდით, რომ მას სიამოვნებით ეცნობიან ახალგაზრდები და კარგ შეფასებასაც აძლევენ...

ახლა უკვე გაზეთის გავრცელების არეალი გასცდა მუნიციპალიტეტის და ქვეყნის ფარგლებს, მას სიამოვნებით ეცნობიან საზღვარგარეთ სამუშაოდ თუ საცხოვრებლად მყოფი ქართველები და სიყვარულით გვეხმიანებიან, გვესიყვარულებიან...

ყველა მათგანს ვერ ჩამოვთვლით ვინც ამ დღეებში გაზეთსა და მის შემოქმედებით მუშაკებს თანადგომა და სიყვარული გამოგვიცხადა, წარმატებები გვისურვა.

გაგაცნობთ მხოლოდ ამონარიდებს მათი სტატუსებიდან:

„თერჯოლა“ ჩემი საყვარელი გაზეთია, სისტემატურად ვკითხულობ“;

„ჩემი თანადგომა თქვენ „თერჯოლის“ საპატივცემულო ადამიანებო“...

„ჩემი ყოველი დღე გაზეთ „თერჯოლით“ იწყება, შენახული მაქვს თითქმის ყველა ძველი და ახალი ნომრები და მისი გადახედვა ძალასა და ენერგიას მმატებს“...

„პენსიონერი პედაგოგისათვის იმაზე კარგი გასახსენებელი და საამაყო რა არის თუ არა შენს საქმიანობაზე გაზეთის ფურცლებზე გამოცხადებული ნდობა და სამადლობელი, მადლობა თქვენ ჩემი საქმის ღირსეულად შეფასებისათვის“...

„მომწონს, მიყვარს, მიხარია, რომ ინტერნეტში წავიკითხავ“...

„ვკითხულობდი, ადრე „წინსვლა“ ერქვა, ახლა „თერჯოლა“, მე დიდიხანია საქართველოში აღარ ვარ, სიამოვნებით წავიკითხე, ცრემლებიც დავღვარე“...

„მიყვარხართ და მეამაყებით“...

„თერჯოლას“ ვკითხულობ, საინტერესო და აქტუალური თემებია, როგორც ყოველთვის“...

„ბევრი საინტერესო სტატია ქვეყნდებოდა, იმედია მომავალშიც ასე იქნება, წარმატებები“...

„გაზეთი მნიშვნელოვანი იყო ყოველთვის და მნიშვნელოვანია დღესაც, ჩემი გულწრფელი მადლობა და თანადგომა თქვენ“...

თითქოს ასეთი შეფასებებია უმეტეს შემთხვევაში, ამ სტრიქონების მიღმა კი არიან ადამიანები, რომლებისთვისაც თავის ქვეყნისა და რაიონის მომავალი სულერთი ნამდვილად არ არის, თითოეული მათგანი უაღრესად პატივსაცემი და მნიშვნელოვანი ადამიანია თავიანთი ღირსებით თუ პირადი თვისებებით...

თუმცა ამოვიკითხეთ ასეთიც: როცა კრიტიკა ეხება არა მხოლოდ გაზეთ „თერჯოლას“ არამედ სრულიად საქართველოს. „რასი „თერჯოლის ხმა“, რისი „თერჯოლის ხმა“, დადუმებულია თვითგადარჩენაზე ფიქრით დაკავებული და ტელეპროპაგანდით გამოყეყეჩებული საზოგადოების უდიდესი ნაწილი, გაუნათლებლობის დოღი და ზეიმია არა მარტო თერჯოლაში, არამედ ქვეყანაში“... რას ვიზამთ, ეს კერძო აზრია და ალბათ ისეც პატივისცემას იმსახურებს...

უღრმესი მადლობა „აი ფაქტს“ და „თერჯოლის ხმას“, რომ ჩვენ ამ გამოხმაურების საშუალება მოგვცა.

უღრმესი მადლობა ჩვენს მკითხველებს, რომლებმაც სადისკუსიო კითხვას ფაქტიურად ერთმნიშვნელოვნად გასცეს გაზეთ „თერჯოლის“ სასარგებლო პასუხი. ასეც, რომ არ ყოფილიყო გულწრფელად ვაცხადებთ—თქვენი აზრი ჩვენთვის ყოველთვის უმნიშვნელოვანესია. ჩვენ მუდამ ვგრძნობდით თქვენს თანადგომას, პატივისცემას და სიყვარულს...

სწორედ ამიტომ ველით მოუთმენლად თქვენს გამოხმაურებებს...

მზია ცქიფურიშვილი

სწავლა-მოსწავლეთა „შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი“

შ - აირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი.

ო - დეს კაცსა დაეჭირვოს მაშინ უნდა ძმა და თვისი.

თ - უ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები.

ა - რას გარგებს სიმძიმილი, უსარგებლო ცრემლთა დენა.

რ - აღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!

უ - მსგავსი საქმე ყოველი, მოკლეა მით ოხერია.

ს - აუბარმან უმეცარმან შმაგი უფრო გააშმაგოს.

თ - ქმულა: „სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა!“

ა - რ იცი ვარდი უეკლოდ არავის მოუკრებიან?

ვ - ცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია შენი გრძელი.

ე - რთგულთათვის კარგი ნუ გშურს, ორგულიმცა შენი კვდების.

ლ - ეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს თუნდა ხვადია!

ი - ადონი მაშინ მოკვდეს, ოდეს ვარდმან იდამჭნაროს.

ი - ს იცინებს კარგად, ვინც ბოლოს გაიცინებსო.

ლ - უკმა მაშინ არის ტკბილი, როცა კაი კაცობით არის ნაშოვნი.

ი - სევ გონება განუვითარებელი და ზნე-ხასიათით განუწვრთნელი სჯობია, ვიდრე გონება განვითარებული და ზნე-ხასიათით გაუწვრთნელი.

ა - დამიანს ადამიანობა უნდა ემჩნეოდეს.

ჭ - ირში გატეხა არ უნდა თუ კაცი გონიერია, წავა და ყველგან დარჩება ქვეყანა ღონიერია.

ა - დამიანს ჭირი და ვარამი ალაპარაკებს.

ვ - ინც ლაფში თავიდამ ფეხებამდე ამოსვრილია, არ შეიძლება ისე შეეხოს სხვას, რომ ლაფი იმასაც არ მოაცხოს.

ჭ - ეშმარიტ ღირსებებს ყვირილი არ უნდა.

ა - ბა რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი, რომე აჩეჩოს მარტო მიწანი და არ მოსთხრიდეს ძირით იმ ბალახს, რომელიც უშლის თესლსა ამოსვლას?

ვ - აჟკაცს ცრემლსა რად უძრახვენ! რკინაც სტყდება, რომ სცემს, გრდემლი...

ა - დამიანის გული თვალუწვდენელი ორმოა.

ძ - ნელია, მაგრამ არა შეუძლებელი ჭირთა თმენა.

ე - ნამ გულისა უნდა თქვას; ფერუმარილი რა საჭიროა.

ა - ვის და კარგის გამჩენი გადმოსაცემად ძნელია.

კ - არგის შვილს უთუოდ კარგი გამზრდელი დედა უნდა ჰყავდეს.

ა - ღმა მფრენი დაბლაც ხედავსო.

კ - არგი ის არის, როცა ჭკუა და ცოდნა ერთად შეკავშირდებიან.

ი - ს ყანა ცარიელია, გინდა ეთესოს პურიო, თუ რომ პატრონი არა ჰყავს, რომ კარგად უგდოს ყურიო.

წ - ვიმა ქვას ალბობს და ცრემლები კაცის გულს.

ე - რთი „მაქვსო“ სჯობს ათას „მქონდას“.

რ - აც არ არგებს ქვეყანას, ის ყველა ფუჭი ბარგია.

ე - რთი კაცის ნდობა ძნელია, გინდა გაგექცეს გონებად და შეუმცდარი ამ ქვეყნად მეფეც ნუ გეგონებათო.

თ - ავმდაბლობა გმირთა ბუნებაა.

ე - რთი კაცი გინდა მაღალნიჭიერიც იყოს, მარტოდმარტო თავისთავად ვერას გააწყობს თუ გვერდში არ უდგანან და არ ეხმარებიან.

ლ - ამაზისაგან ლამაზისადმი ნამდვილი გრძნობა კარგი ძღვენია.

ი - ქ ვარდსა და იას ვინ მოჰკრეფს, სადაც ეკალი სთესია.

ვ - ინც რა ვართ, უნდა ვიცოდეთ, ღვთის დიდებული წესია.

ა - რ ვარგა ერთურთის კილვა, უგზოდ სიტყვების რახუნი.

ჟ - ამთა აღმწერი სოფლისა სოფელშივეა შობილი.

ა - ვსა და კარგსა კაცისას როდი ივიწყებს სოფელი.

ფ - იქრია ტვინის სიცოცხლე.

შ - ვილების მღერა რომ ესმის, დედის სიცოცხლე ტკბილია.

ა - რ დაეკარგვის ამაგი, ვინაც სამშობლოს უვლისა.

ე - რთი იცინის, სხვა ტირის — ასეთი არის ქვეყანა.

ლ - ამაზად შვილის აღმზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა.

ა - რ დაეკარგვის ამაგი, ვინაც სამშობლოს უვლისა.

გ -ზად დაღლილი არვის არ უნახივარ — მარად მანთებს შუქი სვეტიცხოვლისა.

ა - ქ თითო ლერწი და თითო ყლორტი მასზე ოცნებას დაემსგავსება.

ლ - ოდებთან ვიღაც მწარედ გოდებდა და ბეჭდების თვლებს ქარში კარგავდა.

ა - რ ღირს იმ ერთ ცრემლად თვალს რომ მოედების და ღრმა მოგონებამ მე რომ დამათია.

კ - ივის სადგურიდან ზარი მეცამეტე — რომელი საათია? რომელი საათია?

ტ - ანჯვა-განსაცდელში თვალნი მოურიდენ სული მოუვლინე ისევ შენმიერი.

ი - გი ვინც უყვარდა დიდი სიყვარულით ფრთებით დაიფარე ამას გევედრები!

ო - ცდაექვსი საუკუნის წინათ ჰქმიდნენ ქართულ ანბანს.

ნ - ისლის, სულის და ქარის ლაკმე, სადა ხარ, ლაკმე!

ტ - აძრიდან გასულს ნაბიჯი ჩქარი სად მატარებდა ხედვა მიმძიმდა!

ა - რ ღირს იმ ერთ ცრემლად თვალს რომ მოედების და ღრმად მოგონებამ მე რომ დამათია.

ბ - აღი ყელამდე ზამბახებით იყო ნაბური, ირგვლივ ეყარა დანგრეულთა ჩრდილთა ჩუქურთმა.

ი - მ ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვავილებს...

ძ - ლიერ, ძლიერ, ძლიერ ვეტყვი ზენა ქარს იმგვარივე ხმით, იმგვარივე ზარს...

ე - კლიან გზაზე დაეცა ბევრი, მხოლოდ მე ერთი გადავრჩი მგზავრი.

გამოცადეთ თავი

გაიხსენეთ ნამდვილი გვარები

იეთიმ გურჯი —
გიორგი ქუჩიშვილი —
იოსებ გრიშაშვილი —
ალექსანდრე აბაშელი —
ტერენტი გრანელი —
დუტუ მეგრელი —
ლეო ქიაჩელი —
მიხეილ ჯავახიშვილი —
ეროდიონ ევდოშვილი —
ეკატერინე გაბაშვილი —
ეგნატე ნინოშვილი —
შიო არაგვისპირელი —
შიო მღვიმელი —
ვაჟა-ფშაველა —
ალექსანდრე ყაზბეგი —

პასუხებს შემდეგ ნომერში იხილავთ

აზრები

— სიცოცხლე უფლისგან ნაჩუქარია, თუნდაც ამიტომ უნდა გავუფრთხილდეთ.

— ძლიერები აღიარებენ თავიანთ სუსტ მხარეებსაც, სუსტები — არასდროს.

— სადარდოა, როცა ქვეყნის სადარდებელი არ გადარდებს.

— ზოგჯერ სიკვდილსაც აქვს აზრი.

— საკუთარი იდეების დაცვა აუღელვებლად უნდა შეგვეძლოს.

— უგვანს ნუ განვიკითხავთ, ისედაც დასჯილია.

— სასაცილოა გაუცინარი კაცი.

— ყველაფრის უარყოფა უარყოფით ემოციებს იწვევს, ისევე, როგორც ყველაფერზე თანხმობის ნიშნად თავის კანტური.

— მოყვასს გაწეულ სიკეთეს თუ ხშირ-ხშირად შეახსენებ — წყალში ჩაგეყრება.

— გაუწყერი, დაგმე, მაგრამ არ შეიჯავრო.

— ირონია ზოგჯერ სიტყვებზე მეტად ჭრის.

— იუმორმა შეიძლება დუელზე უარი გათქმევინოს.

— წარმატება ზომიერად გაიხარეთ.

— ცხოვრების სიმძიმე გვასწავლის — როგორ შევამსუბუქოდ ის.

— ნიჭიერებს აქვთ უფლება ზოჯერ „წაიცუღლუტონ“ კიდეც.

— კულტურის დეფიციტს გაუნათლებლობა შობს.

— ნუ ჩაიკეტებით შინ, ფეხშიშველი სასიარულო „ცვრიანი ბალახი“ ხომ გარეთ არის!

— ქედმაღალ ადამიანებს ადრე თუ გვიან მაინც უწევთ ქედის მოხრა.

ჩვენი ფეხბურთი

ანუ „სად დამეკარგე სულიკო?“

ციცქნა კოსოვოს ნაკრებთან შინ რომ წავაგეთ პრინციპული მნიშვნელობის მატჩი, მომდევნო ტურში პირენეის ნახევარკუნძულზე ესპანეთთან რისი იმედი უნდა გვქონოდა?..

არ გაგვკვირვებია დიდი ანგარიშით რომ წავაგეთ!

აღარ გვიკვირს უცხოეთიდან მოწვეული ფსევდო-რეპუტაციის მქონე მწვრთნელებისათვის გუნდრუკის კმევაც.

რა იქნება შემდეგ?

„დავდივარ...ვწუხვარ და მენანება!

კროსვორდი

ჩვენი ხმა სამშობლოს სიკეთეს



1. ხმის მიცემით არჩევა წარმომადგენლებისა და თანამდებობის პირთა. 2. იურისტი, რომელიც დამცველად გამოდის ან წარმართავს ვისიმე საქმეს სასამართლოში. 3. არჩევითი დაწესებულების წევრი, არჩეული წარმომადგენელი. 4. სახელმწიფოს ძირითადი კანონი. 5. თვითმმართველობის (მუნიციპალიტეტის) ხელმძღვანელი პირი. 6. კლასობრივ საზოგადოებაში პოლიტიკური ძალაუფლების ორგანიზაცია. 7. რაიმე ორგანიზაციის კრების მონაწილეთა ის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია, რომ ამ კრების დადგენილებები კანონიერი იყოს. 8. ზეპირი ან ბეჭდვითი მოღვაწეობა, რომლის მიზანია მოახდინოს ზეგავლენა ფართო მასების შეგნებასა და განწყობილებაზე. 9. ქვეყანა, სადაც დაიბადა ადამიანი. 10. ადამიანი, რომელსაც უყვარს თავისი სამშობლო, თავისი ქვეყნის ერთგული. 11. მთავრობის საქმიანობა საგარეო, საერთაშორისო პოლიტიკის განსახორციელებლად. 12. ფართო ქსოვილის ნაჭერი რაიმე ფერისა (ტარზე მიმაგრებული), რომელიც მიკუთვნებული აქვს სახელმწიფოს ან რაიმე ორგანიზაციას. 13. ერთიანი სისტემატიზებული საკანონმდებლო აქტი. 14. საარჩევნო ხმის მისაცემი ფურცელი კანდიდატის გვარით. 15. საერთაშორისო ურთიერთობათა მეცნიერება. 16. დოკუმენტი, რომელიც აღწერს კრების, სხდომის ან დაკითხვის მსვლელობას. 17. საგანგებო დავალება. 18. სისტემა. 19. ორი ერთმანეთის გამომრიცხავი შესაძლებლობიდან ერთერთის არჩევის აუცილებლობა. 20. შეთანხმება განსხვავებულ ინტერესთა და აზრთა მქონე წარმომადგენლებს შორის. 21. საჯარო გამოკითხვა, კენჭისყრა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხების გადაჭრის დროს. 22. საიმერეთოს ცენტრალური (ტერიტორიულად) მუნიციპალიტეტი. 23. ჩვენი საარჩევნო მონაწილეობა — ყველანი . . . . . 23. ხმა მივცეთ . . . . . .

პასუხები იხილეთ შემდეგ ნომერში

გვერდის ავტორი ნუგზარ გამყრელიძე

გაზეთ „თერჯოლის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ თინა ქოჩიაშვილს მეუღლის და სოფო სიუკაევას მამის

დიმიტრი (მიტია) სიუკაევის

გარდაცვალების გამო.

მანანა და დავით კლდიაშვილები ოჯახით მწუხარებაში თანაუგრძნობენ რომან და სპარტაკ ბარდაველიძეებს დედის

იზოლდა (იზო) კლდიაშვილი-ბარდაველიძის

გარდაცვალების გამო.

თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ლალა კუპატაძეს მეუღლის

დავით მაკარიძის

გარდაცვალების გამო.

სოფელ ბარდუბნის საჯარო სკოლის, საბავშვო ბაღების, ამბულატორიის და ტერიტორიული ერთეულის წარმომადგებლობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ რომან ბარდაველიძეს დედის

იზოლდა (იზო) კლდიაშვილი-ბარდაველიძის

გარდაცვალების გამო.

პარაოლიმპიური თამაშების ისტორია და ქართველი პარაოლიმპიელები

პარაოლიმპიური თამაშების ისტორია უკავშირდება ბრიტანელ ექიმს, ლუდვიგ გუტმანს, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის დროს დაჭრილი ჯარისკაცების რეაბილიტაციისთვის, მათი სპორტულ აქტივობებში ჩართვა დაიწყო. ვითარებამ აჩვენა, რომ აღნიშნულმა პირებმა, ფიზიკური მონაცემების გაუმჯობესებასთან ერთად, ცხოვრების მოტივაცია და სტიმულიც შეიძინეს. დროთა განმავლობაში სპორტულ აქტივობებში შშმ პირების ჩართულობამ უფრო მასშტაბური ხასიათი მიიღო.

პირველი პარაოლიმპიური თამაშები 1960 წლიდან იღებს სათავეს იტალიის დედაქალაქ რომში გამართული ოთხწლეულის უმთავრესი სპორტული მოვლენის, ზაფხულის მორიგი ოლიმპიადის შემდეგ, ისტორიაში პირველად პარაოლიმპიადა სწორედ აქ ჩატარდა. სადებიუტო თამაშებშივე, იტალიის დედაქალაქს 23 ქვეყნის 400-მდე პარასპორტსმენი ესტუმრა. საქართველო პარაოლიმპიურ მოძრაობაში გაცილებით გვიან - 2008 წლიდან ჩაერთო, სადაც ჩვენი ქვეყანა ე.წ. „ველური ბარათის“ წესით მიწვეულმა **იაგო გორგოძემ** წარადგინა. გორგოძე პარაოლიმპიური თამაშების ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სახეობა - წოლჭიმში (დაწოლილ მდგომარეობაში შტანგის აწევა) ასპარეზობდა.

ორგანიზატორების მიწვევით, ორი ქართველი პარასპორტსმენი ლონდონში, 2012 წლის პარაოლიმპიადაზეც დაუშვეს. ბრიტანეთის სამეფოში გამართულ თამაშებზე, საქართველოდან **ნიკა თვაურმა** და **შოთა ომარაშვილმა** იასპარეზეს. ლონდონის პარაოლიმპიურ თამაშებში 165 ქვეყნის დაახლოებით 4200 პარაოლიმპიელმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის იყვნენ ძალოსანი შოთა ომარაშვილი და მოცურავე ნიკა თვაური.

საქართველოსთვის რიგით მესამე პარაოლიმპიადას, რომელიც რიო დე ჟანეიროში ჩატარდა, ჩვენი ქვეყანა ისტორიული პირველი მოპოვებული ლიცენზიით შეხვდა. ძიუდოისტმა **ზვიად გოგოჭურმა** ბრაზილიაში მონაწილეობა გაინაღდა. ზვიადი 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში, მსოფლიო თასისა და ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებულია. იგი რიოში მედლის მოპოვების უმთავრეს კანდიდატადაც ითვლება და მან ეს შეძლო კიდეც, მაგრამ ტოკიოში იმედები ვერ გაამართლა. მან თამაშებზე გამოსვლაც ვერ შეძლო.

რიოს 2016 წლის პარაოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ახმეტელი პარაძიუდოისტი ზვიად გოგოჭური, ტოკიოს პარაოლიმპიადის გახსნამდე, 8 დღით ადრე, იაპონიაში, სასტუმროს დაცვის თანამშრომლის ცემის ბრალდებით დააპატიმრეს, რის გამოც იგი შეჯიბრებიდან მოიხსნა.

საქართველოს პარაოლიმპიელთა ნაკრები გუნდი ტოკიოს თამაშებზე, სპორტის ექვს სახეობაში, 14 პარაოლიმპიელით უნდა გამოსულიყო, თუმცა ზვიად გოგოჭურის დისკვალიფიკაციის შემდეგ, ცამეტი სპორტსმენი დაგვრჩა.

ქართველი პარაოლიმპიელები პარაოლიმპიურ თამაშებზე 2008 წლიდან, პეკინის თამაშებიდან ასპარეზობენ. ამ ხნის მანძილზე, პარაოლიმპიელების ანგარიშზე მხოლოდ ერთი ოქროს მედალი იყო, რომელიც სწორედ ზვიად გოგოჭურმა მოიპოვა.

საქართველოს ნაკრების დარჩენილმა ცამეტმა პარაოლიმპიელმა ტოკიოში მაინც კარგად იასპარეზა. მართალია მათ ოქრო ვერ მოიპოვეს, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი მოფარიკავე **ნინო თიბილაშვილი,** სულ ახლოს იყო ჩემპიონობასთან, მაგრამ მას საბოლოოდ ვერცხლი ერგო.

ფინალთან ახლოს იყვნენ მოფარიკავე ირმა ხეცურიანი და ძიუდოისტი **ინა ქალდანი.**

აკაკი ჯინჭარაძემ ტოკიოს პარაოლიმპიადაზე ასპარეზობა მე-4 ადგილით დაასრულა. ქართველმა სპორტსმენმა სამი ცდიდან სამივე გამოიყენა და 221 კილოგრამი დააფიქსირა.







1. იაგო გიორგაძე
2. ნიკა თვაური,
შოთა ომარაშვილი
3. ზვიად გოგოჭური
4. ნინო თიბილაშვილი
5. ირმა ხეცურიანი
6. ინა ქალდანი
7. აკაკი ჯინჭარაძე

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75
მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-აწყეფ gazetiterjola@mail.ru

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872